საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/79

ქ. ბათუმი 27 სექტემბერი, 2017 წ.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13, 25-ე მუხლებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიანა ახვლედიანის 2017 წლის 22 სექტემბრის MES 5 17 01130319 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნები უფლაბამოსილებაშეწყვეტილი წევრების დარჩენილი ვადით (2014 წლის 14 ნოემბერში არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფებამოსილების ვადით 2018 წლის 15 ნოემბრამდე) შემდეგი ფაკულტეტებიდან:
   ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
   ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
   გ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
   დ) ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
   ე) იურიდიული ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
   ვ) განათლების ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეზე და ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ჩატარდეს 2017 წლის 09 ოქტომბერს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე და იურიდიულ ფაკულტეტზე 2017 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და განათლების ფაკულტეტზე 2017 წლის 11 ოქტომბერს (არჩევნები -კენჭისყრა იწყება 10 სათზე და მთავრდება 17 საათზე), კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N13) 2017 წლის 28 სექტემბრიდან – 2017 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა 10 საათიდან 16 საათამდე;
3. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:
   ა) განცხადება;
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.

4. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
5. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2017 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით (ბსუ-ს წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად).
6. ბრძანება ჩაბარდეთ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს, განთავსდეს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**